2026 წლის საგნის გამოცდის - უცხოური ენების (დაწყებთი, საბაზო ან/და საშუალო საფეხური) ტესტის თემის შეფასების სქემა
(დავალება 8)

მაქსიმალური ქულა 16. სიტყვების რაოდენობა მინიმუმ 180. მოთხოვნილი დონე B2.

ქულა	შესაბამისობა დავალების მოთხოვნასთან	ლოგიკური და სტრუქტურული თანმიმდევრობა	ლექსიკური მარაგი	გრამატიკული სიზუსტე და მრავალფეროვნება
4 **ძალიან კარგი**	<u>ნაწერი ძალიან კარგია;</u> დავალების მოთხოვნას პასუხობს სრულად და ამომწურავად. მოცემული არგუმენტები მკაფიო და ამომწურავია.	ნაწერის აგებულება ძალიან კარგია; ლოგიკური და თანმიმდევრულია; მაკავშირებლები სწორადაა გამოყენებული.	ლექსიკა მდიდარი და მრავალფეროვანია; პასუხობს მოთხოვნებს. შეცდომები იშვიათია.	გამოყენებულია რთული და მრავალფეროვანი გრამატიკული სტრუქტურები; შეცდომების რაოდენობა ძალიან მცირეა.
3 **კარგი**	<u>ნაწერი კარგია;</u> პასუხობს დავალების მოთხოვნას, თუმცა ზოგ შემთხვევაში ინფორმაცია არასრული ან შეუსაბამოა. არგუმენტები მკაფიოა, თუმცა არ არის ამომწურავი ან დაწერილია 160-120 სიტყვა.	ნაწერის აგებულება კარგია, თუმცა ზოგ შემთხვევაში არ არის დაცული ლოგიკური და სტრუქტურული თანმიმდევრობა.	ლექსიკა კარგია, პასუხობს მოთხოვნებს, თუმცა არის სიტყვების არაადეკვატურად გამოყენების რამოდენიმე შემთხვევა.	გამოყენებულია საშუალო სირთულის გრამატიკული სტრუქტურები. დაშვებულია რამდენიმე შეცდომა, მაგრამ აზრი გასაგებია
2 **საშუალო**	<u>ნაწერი საშუალო დონისაა;</u> დავალების მოთხოვნას პასუხობს ნაწილობრივ. ინფორმაცია, უმეტესწილად, არასრული ან ზოგადია. მოცემული არგუმენტი ან არგუმენტები მოკლე, შეუსაბამო და/ან ბუნდოვანია ან დაწერილია 119-80 სიტყვა.	ნაწერი, უმეტესწილად, არ არის ლოგიკურად და სტრუქტურულად თანმიმდევრული; წინადადებები ერთმანეთს ცუდად უკავშირდება.	ლექსიკა ერთფეროვანი და ძირითადად მარტივია. ხშირია სიტყვების არაადეკვატურად გამოყენების შემთხვევები.	დაშვებულია რამდენიმე მნიშვნელოვანი გრამატიკული შეცდომა, მათ შორის არის შეცდომები <u>სკოლის პროგრამით გათვალისწინებულ გრამატიკულ კატეგორიებში (მართლწერის შეცდომების ჩათვლით)</u>
1 **საშუალოზე დაბალი**	<u>ნაწერი სუსტი და მეტად ზოგადია;</u> საკითხი მხოლოდ გაკვრით არის განხილული; დებულებები მეორდება; აზრის მიყოლა ჭირს. არგუმენტები არ არის მოცემული ან გაუგებარია.	ნაწერი გაბმულად არ იკითხება; არ არის ლოგიკურად და სტრუქტურულად თანმიმდევრული.	გამოყენებულია უაღრესად მარტივი, შეზღუდული და/ან არაადეკვატური ლექსიკა.	გრამატიკული შეცდომები ხშირია. <u>სკოლის პროგრამით გათვალისწინებული გრამატიკულ შეცდომები სისტემურია.</u> გამოყენებულია უაღრესად მარტივი გრამატიკული სტრუქტურები.
0 **ცუდი**	დავალების მოთხოვნას არ პასუხობს. ან დაწერილია ერთი ან ორი წინადადება.ან: ნახევარზე მეტი გადმოწერილია სხვა დავალებიდან.	ნაწერი სრულიად ალოგიკურია / არ იკითხება ან მეტისმეტად მარტივია.	სახეზეა მხოლოდ ერთმანეთთან დაუკავშირებელი და შეუსაბამო წინადადებები და/ან სიტყვები.	გრამატიკული შეცდომები დაშვებულია თითქმის ყოველ წინადადებაში. ნაწერი არ იკითხება.